ლილი ხარჩილავა

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი

რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები ახლო აღმოსავლეთში

ახლო აღმოსავლეთის რეგიონი ყოველთვის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა რუსეთისთვის – იყო ეს ცარისტული რუსეთი, საბჭოთა კავშირი თუ თანამედროვე რუსეთის ფედერაცია. რეგიონის მიმართ ასეთი დაჟინებული ინტერესი განპირობებულია საკმაოდ მარტივი მიზეზით – ახლო აღმოსავლეთი არის რუსეთის საზღვრების სამხრეთი ფლანგი. შესაბამისად, ამ რეგიონში გავლენის გაძლიერებას რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის წამყვანი ადგილი უჭირავს.

რუსეთის დღევანდელი მოქმედებები ახლო აღმოსავლეთში ისტორიულ გამოცდილებას ეფუძნება. თუ გადავხედავთ საბჭოთა რუსეთის ისტორიას, რა თქმა უნდა, ახლო აღმოსავლეთი რუსეთისათვის უცხო რეგიონს არ წარმოადგენს. რუსულ პოლიტიკურ აზროვნებაში დამკვიდრებულია, რომ მე-15 საუკუნეში, ბიზანტიის იმპერიის განადგურების შემდეგ, სწორედ „რუსეთი გახდა ქრისტიანული მართლმადიდებლობის კერა და ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები ქრისტიანი ერების დამცველი სახელმწიფო“ [1].

ხმელთაშუაზღვისპირეთში რუსული საზღვაო ძალები მე-18 საუკუნიდან მოქმედებენ, იყო ეს ოსმალეთის იმპერიისა და სპარსეთის წინააღმდეგ, თუ პირველი მსოფლიო ომის დროს თურქების წინააღმდეგ ბრძოლა. მეორე მსოფლიო ომის დროს, სწორედ საბჭოთა ძალებმა შეძლო ირანში შესვლა, სადაც 1943 წელს „დიდი სამეულის“ ლიდერებს შორის ისტორიული შეხვედრა გაიმართა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირი ებრაული სახელმწიფოს დაფუძნების ერთ-ერთი მომხრე და შემოქმედი იყო, თუმცა მოგვიანებით რუსეთის ინტერესები და შესაბამისად

მისი მხარდაჭერა არაბულ სახელმწიფოებს დაუკავშირდა. ასეთი იყო სირია, ერაყი, რადგან ცივის ომის დროს საბჭოთა კავშირი ამერიკის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირედ სწორედ ამ ქვეყნებს მიიჩნევდა. წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირი რეგიონის ქვეყნებს ამარაგებდა იარაღით, ათობით ათასი სამხედრო მრჩევლითა და ტექნიკოსით, ასევე უწევდა ეკონომიკურ დახმარებას. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ცივი ომის დროს ევროპა და აღმოსავლეთ აზია უკვე დაყოფილი იყვნენ გავლენის სფეროებად, სწორედ ახლო აღმოსავლეთი იყო საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მთავარი ბრძოლის ველი [2].

სპარსეთის ყურის ომის დროს, საბჭოთა კავშირის მაშინდელი ლიდერის მიხეილ გორბაჩოვის გადაწყვეტილებით, რუსეთის ახლო აღმოსავლეთის რეგიონიდან გამოსვლა გახდა საბჭოთა კავშირის ზესახელმწიფო სტატუსის შემცირების მიზეზი. სწორედ ამ სტატუსის აღდგენისთვის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მიიღო ახლო აღმოსავლეთში რუსეთის დაბრუნების გადაწყვეტილება. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში კონტროლის მოპოვება არის საშუალება რუსეთისთვის ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ მოახდინოს ქვეყნის პოზიციების აღდგენა [3].

რუსეთის ზოგადი საგარეო პოლიტიკის გაანალიზებისას ნათელი ხდება, რომ რუსეთის პოლიტიკურ გეგმებში ახლო აღმოსავლეთს საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი აკისრია, აშშ-ს, ევროპის, ჩინეთისა და აზიის შემდეგ. კრემლი დარწმუნებულია, რომ რუსეთი ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს საერთაშორისო არენაზე და მისთვის წარმოუდგენელია განზე გადგეს და არ ჩაერთოს იმ რეგიონში მიმდინარე პროცესებში, რომელიც გეოგრაფიულად ასე ახლოს არის მის საზღვრებთან. ახლო აღმოსავლეთში არსებული პოლიტიკური და სოციალური არასტაბილურობა რუსეთს კარგ საშუალებას აძლევს ფეხი მოიკიდოს რეგიონში და არსებული დაძაბული სიტუაციის გამოყენებით თავი რეგიონის მთავარ აქტორად დაიმკვიდროს.

2015 წელს სირიაში მიმდინარე კრიზისთან დაკავშირებული აშშ-რუსეთის დიპლომატიური ძალისხმევა და შემდგომ რუსეთის

მხრიდან სამხედრო ინტერვენცია, გახდა რუსეთის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები ახლო აღმოსავლეთის რეგიონსა და საერთაშორისო დონეზე გლობალური მოთამაშის სტატუსის დაბრუნებისკენ. საინტერესოა ისიც, რომ როდესაც რუსეთმა გადაწყვიტა სირიის სამოქალაქო ომში ჩაბმა, იმ დროისთვის აშშ-ის თავდაცვის მდივანმა, ეშტონ კარტერმა მოსკოვს კატასტროფა უწინასწარმეტყველა. მათი გადმოსახედიდან, რუსეთის სირიაში შესვლა უფრო გაართულებდა ისედაც დაძაბულ სიტუაციას და ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის რუსული სტრატეგია განწირული იყო მარცხისთვის [3].

შესაძლოა, ეს ვარაუდი გამართლებულიყო, თუმცა, რაც ამერიკულმა მხარემ ვერ გაითვალისწინა იყო ის, რომ სირიაში შესვლა რუსეთის მხრიდან გაცნობიერებულ ნაბიჯს წარმოადგენდა. რუსეთისთვის სირია არ არის უცხო პოლიტიკური გარემო, პირიქით ცივი ომის დროს სირია იყო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მხარდამჭერი, შესაბამისად მოსკოვს ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა ქვეყანასთან და მის ხელმძღვანელობასთან. ქვეყანაში შესვლის ძირითადი მიზეზიც სწორედ ამ კავშირის შენარჩუნება იყო.

პუტინისთვის ცხადი იყო, რომ რუსეთის ჩარევის გარეშე შეუძლებელი იყო ასადის რეჟიმის შენარჩუნება, რაც რუსეთისათვის აუცილებელი კომპონენტია რეგიონთან კავშირის გასამყარებლად. კრემლის გათვლებით, თუ მოსკოვს უნდოდა, რომ რეალური ყოფილიყო მისი ახლო აღმოსავლური ექსპანსიის გეგმა, აუცილებელი იყო სირიის ომში ჩარევა და შესაბამისად ასადის ხელისუფლებაში დატოვება. რუსეთის ეს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, რისკიანი იყო, რადგან დამარცხება წერტილს დაუსვამდა რუსეთის მიზნებს რეგიონთან მიმართებაში. თუმცა ეს არ იყო უსაფუძვლო გადაწყვეტილება, როგორც ამას ამერიკელები თვლიდნენ.

განვითარებული მოვლენებით თუ ვიმსჯელებთ, რუსეთმა რეგიონში „წარმატების“ მიღწევა ორ წელიწადში მოახერხა და რაც მთავარია, მისი ერთ-ერთი მთავარი მოკავშირის პრეზიდენტ ასადის მომავალი ხელისუფლებაში გაამყარა. რუსეთმა ასევე

შეძლო გამარჯვება მოეპოვებინა ისლამურ სახელმწიფოზე.

2017 წლის 6 დეკემბერს პუტინმა განცხადებაში აღნიშნა, რომ სირიაში ევფრატის ორივე სანაპიროზე ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ „სრული გამარჯვება" მოიპოვეს. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ დროისთვის სამხედრო ოპერაციები დასრულდა და სამომავლოდ ყურადღება პოლიტიკურ პროცესებზე გამახვილდება [4]. ისლამურმა სახელმწიფომ, მარტივად რომ ვთქვათ, საკმაოდ დიდი არეულობა გამოიწვია მთელი მსოფლიოს მასშტაბით და მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამის გათვალისწინებით, როდესაც მსგავსი მნიშვნელობის ტერორისტული ორგანიზაციის დამარცხების შესახებ განცხადებებს რუსეთი აკეთებს, ნათელია, რომ ქვეყანა ცდილობს დაიმკვიდროს წამყვანი გარე ძალის ადგილი რეგიონში და მიმდინარე პროცესების გადაჭრაში გახდეს მთავარი მედიატორი.

როდესაც ვსაუბრობთ, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში რუსეთის ინტერესებზე პირველი, რასაც ყველა აღნიშნავს და თანხმდება არის ის, რომ პუტინის ძირითადი მიზანი ახლო აღმოსავლეთთან მიმართებაში არის რუსეთის საბჭოთა დროინდელი სტატუსისა და როლის დაბრუნება. რა თქმა უნდა ეს არის რუსეთის ძირითადი მიზანი, კარნეგის მოსკოვის ცენტრის დირექტორის დიმიტრი ტრენინის თანახმად, კრემლს რეგიონთან მიმართებაში სხვა ინტერესებიც გააჩნია.

სირიაში რუსეთის ყოფნას აქვს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი, ეს არის ყატარიდან ევროპის მიმართულებით გაზსადენის მშენებლობის შესაძლებლობა. თუ ეს მოხდება, ევროპას გაუჩნდება გაზის მიწოდების ალტერნატიული წყარო. ეს კი რუსეთისათვის კატეგორიულად მიუღებელია. სწორედ ამიტომ გადადგა რუსეთმა რადიკალური ნაბიჯები ახლო აღმოსავლეთში და კონკრეტულად სირიაში.

ენერგეტიკული ფასების კონტროლი რუსეთისთვის არის კიდევ ერთი და საკმაოდ ძლიერი არა სამხედრო შესაძლებლობა, რომ რეგიონში მიმდინარე პროცესები თავისი კონტროლის ქვეშ ამყოფოს. თუ გადავხედავთ რუსეთის მოქმედებებს საერთაშორისო ასპარეზზე დავინახავთ, რომ კრემლი ხშირად იყენებს ბუნებრივი

რესურსების ფასებს საკუთარი მიზნების მისაღწევად და ძალაუფლების განსამტკიცებლად [2].

სწორედ ეს ინტერესები განსაზღვრავს რუსეთის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. აღნიშნული მიზნების მისაღწევად რუსეთი აქტიურად ცდილობს თავის სასარგებლოდ დაამშვიდოს სიტუაცია სირიაში, რაც ითვალისწინებს ასადის ხელისუფლებაში დატოვებასა და მისი სახით რეგიონში მოკავშირის შენარჩუნებას. ირანის ბირთვული გარიგების შემდეგ რუსეთი ცდილობდა, ურთიერთობა გაეღრმავებინა ირანთან და მაქსიმალური სარგებელი მიეღო ირანისათვის მოხსნილი სანქციებიდან. დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის დროს ირანის მიმართ სანქციები კვლავ ძალაში დარჩა და აშშ გავიდა ირანის ბირთვული შეთანხმებიდან. ეს ნაბიჯი მიუღებელი იყო ტრამპის ოპოზიციისათვის, ამჟამად ბაიდენი ცდილობს სიტუაციის ნორმალიზებას [5].

მოკავშირეების გაზრდის მიზნით რუსეთი ასევე ცდილობს, შეძლებისდაგვარად პრაგმატული ურთიერთობა დაამყაროს საუდის არაბეთთან და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნებთან. საუდის არაბეთის მეფის სალმანის ვიზიტი რუსეთში მიჩნეული იყო არაბულ სახელმწიფოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის დაწყების წინაპირობად. განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ვიზიტის ფარგლებში საუდის არაბეთის მეფემ რუსეთთან თანამშრომლობის დაწყების ახალი ეპოქის შესაძლებლობებზე მიანიშნა [5].

მიუხედავად ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებებისა და დაძაბული ურთიერთობისა, უსაფუძვლო არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ სამომავლოდ შესაძლოა, ეს ორი ქვეყანა საერთაშორისო დონეზე მოკავშირეებიც გახდნენ. ამის თქმის საშუალებას, იძლევა საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება ზემოხსენებული შეხვედრის შემდეგ, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში ახალი შესაძლებლობები გაჩნდა, რაც აქამდე მათთვის წარმოუდგენელი იყო [6].

ახლო აღმოსავლეთში კრემლის პოლიტიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალა გეოპოლიტიკურია. თუმცა არ უნდა

დავივიწყოთ, რომ რუსეთის პოლიტიკის ვექტორების ასევე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია საკუთრივ რუსეთში მიმდინარე პროცესები. რუსეთის ფედერაციაში შედის რამდენიმე დიდი მუსლიმანური რესპუბლიკა, ჩეჩნეთი და დაღესტანი ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო მდინარე ვოლგის აუზში თათრეთი. ქვეყნის საერთო მოსახლეობის 12 პროცენტი მუსლიმია. დამატებით, ცენტრალური აზიისა და აზერბაიჯანის მუსლიმი მოსახლეობის რუსეთში ემიგრანტთა რაოდენობა მილიონამდე აღწევს, რომელთა დიდი ნაწილი რუსეთში არალეგალურად შედის. ახლო აღმოსავლეთიდან მიგრაციის ტალღის გაძლიერება კიდევ უფრო საფრთხის ქვეშ აყენებს მუსლიმი მოსახლეობის ჩრდილოეთით, რუსეთის ფედერაციის მიმართულებით მიახლოებას. მიუხედავად ისლამური სახელმწიფოს „დაცემისა" რუსეთში მაინც არის რადიკალური იდეოლოგიის გავრცელების საშიშროება. უნდა აღინიშნოს, რომ 90-იანი წლებიდან მოყოლებული რუსეთი ყოველთვის იდგა ტერორიზმის საფრთხის წინაშე [2].

რუსეთის სირიაში შესვლის გადაწყვეტილება ასევე განპირობებული იყო სამხედრო კუთხითაც. რუსეთის სამხედრო შესაძლებლობები იმყოფება პოსტსაბჭოთა შემდგომი ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის პროცესში, სირიაში შესვლით რუსეთს საშუალება მიეცა, მართალია მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც დაბრუნებულიყო ძირითად საერთაშორისო აქტორთა რიგებში. რუსეთის თავდაცვის სფეროში ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ, როგორც მომხმარებლებს. 2015 წელს რუსეთის შეიარაღების შემსყიდველთა რიგებში 36 პროცენტი სწორედ ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილო აფრიკის ქვეყნებს ეკავათ, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია თუ გავითვალისწინებთ, რომ აზიას 42 პროცენტი აქვს დაკავებული [7].

ათწლეულების მანძილზე ალჟირი, ეგვიპტე, ირანი, ერაყი და სირია სწორედ რუსეთისაგან ყიდულობენ შეიარაღებას. შესაბამისად, რუსეთში შეიარაღების მწარმოებლები იმედოვნებენ, რომ სირიის ომში რუსული იარაღის მოქმედება, ისევე, როგორც დამასკოში პუტინის მხრიდან მოკავშირის მხარდაჭერა, ხელს

შეუწყობს რეგიონში რუსეთის შეიარაღების პრესტიჟის ამაღლებას და შესაბამისად გამოიწვევს ახალი კლიენტების ინტერესს, განსაკუთრებით კი სპარსეთის ყურის ქვეყნებში. ამ კუთხით რუსეთის მხრიდან ერთ-ერთი უახლესი წინ გადადგმული ნაბიჯია საუდის არაბეთისთვის მძლავრი S-400 საჰაერო თავდაცვის სისტემის მიყიდვა. ამ ეტაპზე, შესყიდვასთან დაკავშირებით მხარეები საბოლოო დეტალებს ათანხმებენ. მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შემთხვევაში შეთანხმების ღირებულება 3 მილიარდს შეადგენს [8].

ეს ტრანზაქცია არა მარტო გაზრდის რუსეთის ბიუჯეტს, არამედ ხელს შეუწყობს რუსეთ-საუდის ურთიერთობის დადებითად განვითარებას.

რუსეთის სამხედრო ინტერვენცია სირიაში ბოლო ათი წლის განმავლობაში პუტინის მესამე სამხედრო თავდასხმას წარმოადგენს: 2008 წელი საქართველო, 2014 წელი უკრაინა და 2015 წელი სირია. სამივე ქვეყანას აერთიანებს ერთი მნიშვ-ნელოვანი ფაქტორი, მათ აქვთ წვდომა იმ საზღვაო აუზებ-ზე, რაც აუცილებელია რუსეთის ეკონომიკური ზრდისთვის, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს რუსეთს, რომ დაიბრუნოს გლობალური აქტორის სტატუსი. ამას გარდა, სირიის, ასევე საქართველოსა და უკრაინის კონტროლი მინიმუმამდე შეამცირებს გეოსტრატეგიულ მანძილს ახლო აღმოსავლეთსა და რუსეთს შორის, ასევე დასავლეთ ევროპასთან. გარდა ამისა, საშუალებას მისცემს რუსეთს აკონტროლოს და საჭიროების შემთხვევაში ჩაერიოს იმ ნებისმიერ გლობალურ და რეგიონულ პროცესში, რაც რუსეთის მხრიდან მისი პოლიტიკის საწინააღმდეგოდ იქნება აღქმული. მსგავსი გავლენის მოპოვება, რა თქმა უნდა, აიძულებს ამერიკასა და სხვა გლობალურ მოთამაშეებს ცნონ რუსეთის მზარდი ზეგავლენა და როლი საერთაშორისო პოლიტიკაში [9].

ახლო აღმოსავლეთში ინტერვენციით რუსეთი ცდილობს საერთაშორისო საზოგადოებას დაანახოს, რომ კრემლი კვლავაც წამყვანი ძალაა საერთაშორისო ასპარეზზე. რუსეთი მიმდინარე ქმედებებითა და კონფლიქტში ჩართვით ცდილობს, გარე აქტორებს დაანახოს რუსეთის ახალი თაობის სამხედრო

შესაძლებლობები, განსაკუთრებით კი ის ფაქტი, რომ მიუხედავად საერთაშორისო საზოგადოების მიერ დაკისრებული ეკონომიკური სანქციებისა რუსეთი კვლავაც რჩება ძლიერ სახელმწიფოდ და, რაც მთავარია, გლობალურ მოთამაშედ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Trenin, D. Russia's Breakout Into the Middle East – 2017 https://worldview.stratfor.com/article/russias-breakout-middle-east
2. Trenin, D. Russia in the Middle East: Moscow's Objectives, Priorities, and Policy Drivers – 2016 http://carnegie.ru/2016/04/05/russia-in-middle-east-moscow-s-objectives-priorities-and-policy-drivers-pub-63244
3. Bradley, J. R. How Putin came to rule the Middle East – 2017 https://www.spectator.co.uk/2017/10/how-putin-came-to-rule-the-middle-east/
4. Reuters Staff. Putin declares "complete victory" on both banks of Euphrates in Syria – 2017 https://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-syria-putin/putin-declares-complete-victory-on-both-banks-of-euphrates-in-syria-idUSKBN1E027H
5. Wintour, P. Saudi king's visit to Russia heralds shift in global power structures – 2017 https://www.theguardian.com/world/2017/oct/05/saudi-russia-visit-putin-oil-middle-east
6. Soldatkin, V., & Golubkova, K. Russia, Saudi Arabia cement new friendship with king's visit – 2017
7. https://www.reuters.com/article/us-russia-saudi-terror/russia-saudi-arabia-cement-new-friendship-with-kings-visit-idUSKBN1CA1QU
8. Korzun, P. Russia: Strengthening Foothold in Middle East and North Africa – 2016 https://www.strategic-culture.org/news/2016/10/12/russia-strengthening-foothold-middle-east-north-africa.html
9. Carroll, O. Russia and Saudi Arabia 'sign $3bn arms deal' as

King Salman visit shows how much relations have changed – 2017 http://www.independent.co.uk/news/world/europe/russia-king-salman-visit-saudi-arabia-moscow-vladimir-putin-a7985161.html
10. Dr. Shabaneh, Gh. Putin's Moment in the Middle East – 2015 http://studies.aljazeera.net/en/reports/2015/10/20151019115125523394.html

Lili Kharchilava
Georgian Technical University,
Associate Professor

RUSSIAN FOREIGN POLICY PRIORITIES IN THE MIDDLE EAST

The Middle East region has always drawn the interest of the Russian Federation. An analysis of Russia's general foreign policy shows that the Middle East plays a significant role in Russia's political plans after the United States, Europe, China, and Asia. The Kremlin is convinced that Russia is a great force in the international arena, and it is inconceivable for it to step aside and not intervene in the ongoing processes in the region, which is geographically located so close to its borders. Existing in the Middle East political and social instability allows Russia to create a certain ground in the region and take advantage of the current tense situation to become a major regional player.